,,დამტკიცებულია”

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

დადგენილება № 107(17/18)

„ 26 „ ივნისი „ 2018 წ.

რექტორი: გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59.
ტ: 577–13–18–24,
E-mail: nidolidze@mail.ru

პროგრამის ხელმძღვანელი:
ნინო დოლიძე
აწსუ -ის პროფესორი

ქუთაისი
2018 წ.

I. **პროგრამის სახელწოდება:** ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი

II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 02102-3

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდესროგორც მსხვილ, საშუალო ისე მცირე საწარმოსა და მოდის ატელიებში დარგის სპეციალისტად, ასევე შეუძლია დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

VI. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტანსაცმლის ესკიზის შექმნას, ინდივიდუალური და მასიური წარმოების პირობებში ტანსაცმლის მოდელების კონსტრუირების კანონებისა და წესების გათვალისწინებით სხვადასხვა სირთულის ნაწარმის შესრულებას.

VII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო ადგილის ორგანიზება
- ხატვისა და ფერწერის ტექნიკური ხერხების გამოყენებით ჩანახატების შექმნა
- ტანსაცმლის ესკიზის შექმნა (ქალი, მამაკაცი, ბავშვი)
- ტანსაცმლის საბაზისო ნახაზის აგება
- ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება
- ტანსაცმლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა

VIII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 117 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 20 სასწავლო თვე

2. **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 147 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 25 სასწავლო თვე

IX. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	➢ საბაზო განათლება	3
2	მეწარმეობა 3	➢ საბაზო განათლება	3
3	ინგლისური ენა	➢ საბაზო განათლება	5
	ჯამი		11
	სავალდებულო პროფესიული მოდულები		
4	გაცნობითი პრაქტიკა-ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	➢ საბაზო განათლება	2
5	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა	➢ სრული ზოგადი განათლება	1
6	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	➢ სრული ზოგადი განათლება	5
7	სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება	➢ სრული ზოგადი განათლება	3
8	ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა	➢ სრული ზოგადი განათლება	8
9	ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
10	მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
11	ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
12	ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	**მოდულები:** ➢ ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება; ➢ მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება; ➢ ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირება;	7
13	ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები	**მოდულები:** ➢ სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება; ➢ ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა;	6
14	ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია	**მოდულები:** ➢ ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები; ➢ ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა;	7
15	ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	**მოდულები:** ➢ ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები; ➢ ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია;	9
16	მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	**მოდულები:** ➢ ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები; ➢ ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია.	9
17	ბავშვის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	**მოდულები:** ➢ ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები; ➢ ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია.	6
18	საწარმოო პრაქტიკა - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	➢ სრული ზოგადი განათლება	12
19	პრაქტიკული პროექტი-ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისსპეციალისტი	➢ სრული ზოგადი განათლება	6
	ჯამი		96
	არჩევითი მოდულები		
20	ტანსაცმლის დეკორატიული გაფორმება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
21	ფარდისა და საწოლის თეთრეულის მხატვრული მოდელირება	➢ სრული ზოგადი განათლება	5

ჯამი	10
სულ	117

X. ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

1- პროგრამა

დანართები:

დანართი 1- ზოგადი, სავალდებულო პროფეიული და არჩევითი მოდულები

დანართი 2 - ქართული ენის მოდულები

დანართი 3 სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 4 სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 5 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

ზოგადი მოდულები

1.1. ინფორმაციული წიგნიერება 2;
1.2. მეწარმეობა 3;
1.3. ინგლისური ენა;

სავალდებულო პროფესიული მოდულები

1.4. გაცნობითი პრაქტიკა - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
1.5. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა;
1.6. ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა;
1.7. სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება;
1.8. ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა;
1.9. ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება;
1.10. მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება;
1.11. ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირება;
1.12. ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება;
1.13. ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები
1.14. ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია;
1.15. ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება;
1.16. ამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება;
1.17. ბავშვის ტანსაცმლის მასალაში შესრულება;
1.18. საწარმოო პრაქტიკა - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი;
1.19. პრაქტიკული პროექტი-ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისსპეციალისტი

არჩევითი მოდულები

1.20. ტანსაცმლის დეკორატიული გაფორმება;
1.21. ფარდისა და საწოლის თეთრეულის მხატვრული მოდელირება;

ზოგადი მოდულები: (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

2.1. ქართული ენა A2
2.2. ქართული ენა B1